# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

მთელი წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთი თვისა . . . 1 მან.



**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



**შაბათს, 27 თებერვალს**

სახაფხულო თეატრში

დანიშნულია ბენეფისი არტისტის-მომღერალის

## ფ. ი. ქორიძისა

წარმოდგენილი იქნება

## ებრაელი ქალი

(„ჟიდოვკა“)

ხუთ-მოქმედებიანი ოპერა ჰალევისა.

---

არწრუნის თეატრი.

**პარასკევს, 25 თებერვალს**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

## ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქმ. და 7 სურათად თხზ. ვ. შექსპ-რისა თარგმანი ანტ. ფურცელაძისა.

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვ. ალექსეევ-მესხიევი.

დასაწყისი 8 საათზედ.


# ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

## საზღვარ-გარეთიდამ

22 თებერვალს

**პარიჟი.** გუშინ დეპუტატთა პალატაში დიდი ბაასი იყო კონსტიტუციის გადახედვის თაობაზედ; კამისიისაგან დანდობილი პირი, ჟირო თხოულობდა, რომ სენატი საზოგადო ხმის-მიცემით იქმნეს კვლავ ადრჩეული და მოეხსნოს მას უფლება პალატის დათხოვნისა. ამაზედ ჟულ ფერრიმ უპასუხა, რომ ეხლანდელი მდგომარეობის წყალობით ხალხი უკმაყოფილებას იჩენს, მას ეჭირვება მშვიდობიანობა, შრომა და უდროოა ამ ჟამად, საშიშოცაა კონსტიტუციის გადახედვა, რის გამო, საფიქრებელია, მოხდეს შეტაკება პალატთა შორის.

**ვენა.** მალე შეუდგებიან ქ. პრჟემისლის და ჭალიციის სხვა ადგილების გამაგრებას.

დეპუტატთა პალატაში რუსსინმა კულაჩკოვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა რუსსინების მდგომარეობის შესახებ და აღიარა, თუ ამ მოკლეს ხანში გარჩეულ პოლიტიკურ პროცესს უნდა დაერწმუნებინა რუსინები, რომ მათ არ ძალ-უძთ ისარგებლონ კონსტიტუციონურის წესებით, მეცნიერული მეცადინეობანი მათგან დანაშაულადაც ჩაითვლებოდა, რომ პოლშის ეკკლესიის მთავრებლობა აძლევებს მათ და თავის დაცვისათვის რუსსინებიც იძულებულ შეიქმნებიან მიიღონ სხვა რჯული.

23 თებერვალს

**ლონდონი,** გლადსტონმა განაცხადა პალატაში, რომ ინგლისის ჯარების გამოსვლა ეგვიპტიდამ იმაზეა დამოკიდებული თუ რა წარმატებით აღსრულდება ის მიზნები, ინგლისს რომ აქვს სახეში.

**ბრიუსელი.** აქ გაუჩხრიკეს სადგომები რუსის სტუდენტებს. აღმოჩნდა, რომ მათ ჰქონიათ კავშირი საფრანგეთის საიდუმლო საზოგადოებათთან. დააპატიმრეს სტუდენტი შესტოპალოვი, რომელსაც აღმოუჩნდა 12,000 ფრანკი—ოქროებით.

## რუსეთიდამ

20 თებერვალს

**პეტერბურღი.** გვირგვინის კურთხევის დროისათვის აღრჩეული კამისია აცხადებს, რომ მოსამსახურეების თუ სადგომების დაქირავებაზედ ცნობების მისაღებად მიმართონ პირ-დაპირ მას და არა სხვა კერძო კანტორებს. კამისია იმყოფება კრემლში საკავალერო კორპუსში.

**პეტერბურღის ბირჟა, 22 თებერვალს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95—87 |
| მეორისი— — — — | 92—12 |
| მესამესი— — — — | 92— „ |
| მეოთხესი — — — | 92— „ |
| მეხუთესი — — — | 91—87 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91¾— |
| აღმოსავლეთის მეორე | 91¾— |
| აღმოსავლეთის მესამე | 92— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—15 |
| **შინაგანის 5% სესხის ბილეთები:** | |
| პირველი სესხის — — | 220½— |
| მეორე სესხის — — | 214½— |
| **100 მანეთი ღირს:** | |
| ლონდონი— — | 24 3/32—პენსი |
| ჰამბურღი — — | 205½— ცენტი |
| პარიჟი — — — | 253— „ სანტიმი |

## ლექციების შესახებ.

შარშან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გვპირდებოდა დიდ-მარხვაში რამდენიმე ლექციის გამართვას ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ეს დაპირება დარჩა ცარიელი დაპირებად, და აღსრულებაში ვერ მოიყვანეს?

ჩვენის აზრით, ამ გვარი ლექციები, ნამეტნავად მედიცინისა, ნამდვილ საჭიროებას შეადგენს ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგანაც უმეტეს ნაწილს ჩვენის ხალხისას ელემენტარული ცნობაც-კი არა აქვს ექიმობისა და ჰიგიენისა. ამის გამო ბევრჯერ უბრალო ავად-მყოფობა მოურჩენელ სენად ექცევა ხოლმე ჩვენს ხალხს, რომელმაც მოელა არ იცის ავად-მყოფისა და ბევრჯერ წამლის საწამლავად აქცევს და საწამლავს წამლად.

მაგალითად მოვიყვანთ ერთს უბედურს შემთხვევას, რომელიც პირ-და-პირი შედეგი იყო იმ უმეცრებისა, რომელიც წარმოსდგება წამლის ხმარების უცოდინელობით.

ერთს ყმაწვილს ქალს ასტკივდა თვალები; ურჩიეს მუშკები დაეკრა ყურს უკან; პატრონებმა იფიქრეს, წამალი თუ ყურს უკან დადებით თვალებს არგებსო, ზედ თვალებზედ დადებით უფრო არ უნდა არგოსო! დააკრეს საცოდავს ქალს თვალებზედ და ორივე თვალით-კი დააბრმავეს.

ამ გვარი მაგალითები ათასობით

---

«დროების» ფელეტონი, 24 თებერვ.

## ბედ-შავი.

(მოთხრობა*)

— არ გესმის, გაეთრიე! კიდევ დაუყვირა ელისაბედმა და სიბრაზის ქაფი მოადგა პირში.

ქალბატონი მივარდა გოგოს, მისწვდა თმებში და დაუწყო ძალზედ წიწკნა და წევა.

ქმარი, რომელიც აქამდის ჩუმად იდგა, ერთბაშად მივარდა ცოლს, გაამგდებინა ვარდისახარ ხელიდგან და დაუყვირა:

— რა მოგივიდა? ხომ არ გაგიჟებულხარ, შე შერჩენებულო!

— შაირცხვილო, უსინიდისო!.. კიდეცა მკითხავ? დაიწყო ტირილი ცოლმა და დასუსტებული დაეცა სავარძელში.

ვარდისახარ ტიროდა და სირცხვილით იწოდა, რადგანაც ხედავდა ქალბატონის სიბრაზეს, გაანჩხლებას და მაშასადამე საშინელება რამე უნდა მოეხდინა.

იმან ძლივს მოახერხა გასვლა თავის ოთახში.

— არა, რა ნახე, რომ აგრე გაკაპასდი? დაიწყო ისევ ქმარმა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ყოველისფერი, ყოველისფერი ვნახე... ბრმა ხომ არ ვიყავი, რო არ მენახა! უყვიროდა და მოსთქვამდა ცოლი.—არა, გოგო, უბრალო მოახლე როგორ ირჩიე, შე უსვინიდისოვ შენა?.. რიგიანი რო ყოფილიყო ვინმე კიდევ ჰო, თორემ მოახლე, უბრალო გოგო?.. არა გრცხვენიან?.. ნამუსი აღარა გაქვს?

ივანეს შერცხვა, ცოლის სიტყვებში საბუთი დაინახა და ეცადა თავის გამართლებას.

— რას ამბობ ქალო?.. იქნება მართლა გგონია რამე?

— როგორ თუ მგონია! განა ვერა ვნახე?

— რა ნახე, ქალო!

— შენი ხვევნა-კოცნა, სხვა რა!

— ვინა?.. მე ვეხვეოდი, მე ვკოცნიდი?

— დიაღ, თქვენა.

— შენმა გაზდამ, შემცდარხარ.

ცოლმა შებღვირა.

— ტყუილად ნუ ეშმაკობ, ნუ ცდილობ ჩემს მოტყუებას, წამოიძახა ერთბაშად და გაიმართა წელში.

იმას გაუბრწყინდა სიანჩხლის ცეცხლით თვალები, სახე დაეპრანჭა და შესწივლა ქმარს:

— ხვალვე უნდა დაითხოვო სახლიდგან, ხვალვე უნდა გააგდო!

— თუმცა შენი თხოვნა უსაფუძვლოა, მაგრამ ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ამ კვირასვე გავგზავნი სოფელში.

— ამ კვირია-კი არა ხვალვე, ეხლავე! წინიანად წარმოსთქვა ცოლმა და ჩაჯდა ისევ სავარძელში.

— კარგი, ეხლავე გავგზავნი... აი, ამ წუთასვე, ვაბრუნდა ქმარი და აპირებდა გასვლას.

ცოლმა თვალი გააყოლა, რომ დაენახა ქმარი მართლა აპირებდა გასვლას თუ არა და რა დარწმუნდა რომ ქმარი აღარა ხუმრობდა ერთბაშად დაიძახა:

— სად მიხვალ?

— როგორ თუ სადა! მხრების აწევით და გაკვირვებით იკითხა ივანემ.

— ჰო და სად მიხვალ?

— მივდივარ, რომ ავასრულო შენი სურვილი და გავგზავნო ის გოგო.

— ახლა ამასა იქს და ქვეყანაში თავს მომჭრის! შეწუხდა ელისაბედ.

— მაშ რავქნა?

— ვინ გითხრა, რომ გაგზავნეო?

— შენ არ მითხარი?

— არა თქვენმა მზემ, მე სულაც არ მითქვამს.

გაკვირვებულმა ქმარმა ყურება დაუწყო, თუმც კარგად იცოდა ცოლის ხასიათი, რომელიც წუთში ათასჯერ გამოიცვლიდა აზრს და სურვილს.

ივანეს თავში მოუვიდა, რომ თუ ოროთონაც აუხირდებოდა ცოლი, აღარ გააგდებდა ვარდისახარს.

— ვითქვამს თუ არა, ეგ სულ ერთია, შენ ისეთი ცილი შემწამე, რომ მაგის შემდეგ იმ გოგოს სახლში დაყენება აღარ შემიძლიან.

— აბა, მაშ კაი კაცი იქნები, და გააგდებ.

— ვითომ რატომაო?

*) იხ. „დროება“, № 40.

ხდება ხალხში; მეტი სარგებლობა რაღა იქნება, რომ რაოდენადაც შეიძლება ჩვენმა ყმაწვილმა ექიმებმა გააცნონ ხალხი წამლების ხმარებას და ავად-მყოფების მოვლას.

ჩვენი ყმაწვილი ექიმები მოვალენი არიან აღასრულონ შარშანდელი თავიანთი განზრახვა და არ დააგდონ ეს საკეთილო საქმე.

ბევრი იმისთანა ურწმუნოები იპოვებიან, რომელთაც, არ ვიცით-რა საბუთით, ჰგონიათ, რომ ქართულს ენაზედ ლექციები არ წაიკითხებაო; მაგრამ ეს ისეთი უაზრო, მოუფიქრებელი სიტყვებია, რომელსაც არც ერთი რიგიანი კაცი ყურს არ დაუგდებს.

მართალია, ლექტორები დიდს გაჭირვებას ნახვენ ტერმინების გამოკვლევაში. მაგრამ უშრომლად ვის რა ეძლევა.

პირველში ლექციები ნაკლულევანებას არ ასცდებიან, ტერმინები შეცდომით იხმარებიან, მაგრამ ამ გვარი ლექციების დაწყება მაინც ნაბიჯის წადგმა იქნება. დაწყებაა ძნელი, თორემ რა ერთხელ დაიწყება საქმე, დღით-დღე შესწორდება, გაუმჯობესდება და დაადგება წესიერს კვალს.

## დღიური

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია „ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოს“ ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რადგან ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ალბედინსკი ავად არისო, ამის გამო ამბობენ, რომ იმის მაგიერად თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ან გრაფი პავლე შუვალოვი დაინიშნებაო.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვის შესახებ ეს ხმა ტყუილი უნდა იყოს, რადგან, როგორც ჩვენს ქალაქში ნამდვილად ამბობენ, თითქმის ყველა იმის წინადადებაზედ, კავკასიის მხრის ცვლილებათა შესახებ , უმაღლესი მთავრობა დათანხმებულა და მაშასადამე ამ ცვლილებათა სისრულეში მოყვანაც, უეჭველია, იმასვე ექნება მინდობილი.

* * *

ტფილისის საქალებო ინსტიტუტში წელს სულ 17 ქალი ათავებს სწავლას. ამათგან 4 სახელმწიფო ხარჯით და დანარჩენი კი თავის ხარჯით არიან. ამის გამო სახელმწიფო ხარჯით მისაღებად წელს ოთხი ვაკანსია იქნება, რომელთაგან ერთი კავკასიის მთავარმმართველის არჩევით იქნება მიღებული და სამი კი წილის-ყრით. ვისაც სახელმწიფო ხარჯით მიღება ჰსურს, ამ წლის 1 აპრილიდან უნდა შეიტანოს თხოვნა და საჭირო მოწმობა.

* * *

ტფილისის კადეტის კორპუსში სახელმწიფო ხარჯის ვაკანსია წელს მხოლოდ 24 იქნება ისიც მარტო პირველს კლასში. ვისაც თავის ხარჯზე შესვლა ჰსურს, წელიწადში 200 მან. უნდა შეიტანოს; მოსიარულე შაგირდებმა კი სწავლის ფასი 25 მან. სახელმწიფო ხარჯით მიიღებიან მხოლოდ კავკასიის აქეთა და იქითა მხრის მცხოვრებ კეთილშობილთა და აგრეთვე აფიცრებისა და ჩინოვნიკების შვილები; თავის ხარჯით კი ყველა წოდების შვილები. ეგზამენები 23 ავისტოდამ დაიწყება. (დაწვრილებითი განცხადება ამ საგნის შესახებ „კავკაზის“ № 38-შია დაბეჭდილი).

* * *

ხვალ ქალაქის რჩევის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი კრება, ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად. კრება მორჩა არითმეტიკის ტერმინების შემუშავებისა და ამ კრებაზედ უკანასკნელად გადიხედება კიდე ეს ტერმინები და შემდეგ ესეთად იქმნება გაზეთში გამოცხადებული, იმათ გარდა, რასაკვირველია, რომელნიც უკვე იყვნენ დაბეჭდილი „დროებაში“.

* * *

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, 25 თებერვალს, დანიშნულია უჩვეულებრივო კრება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელზედაც იქნება სჯა იმის შესახებ—თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ თავად-აზნაურობამ ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაში.

* * *

იმ უსიამოვნო შემთხვევის აღწერაში, რომელიც (შემთხვევა) მოხდა ამას წინად ტფ. კრუჟოკში და რომელიც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, თ. ზ. მ—ის სახელი შეცდომით იყო მოხსენებული, რადგან იმ შემთხვევაში ამას არაფითარი მონაწილეობა არ მიუღია; ამის მაგიერად თ. ი. მ—ი უნდა ყოფილიყო მოხსენებული.

* * *

ბაჟლილ 21 იანვარს, ღამის მეათე საათზე, ქალაქს შემახიაში მიწის-ძვრა ყოფილა, მაგრამ ისეთი სუსტი, რომ არც სახლები დაუნგრევია და არც სხვა არაფითარი ზარალი არ მიუცია ხალხისათვის. მცხოვრებლები კი ისე შეშინებულან, რომ ფანრებით გამოცვივნულან ქუჩაზე და სახლში შესვლას ველარ ჰბედავდენო. შემახიას გარდა ეს მიწის-ძვრა ამ ქალაქის ახლო-მახლო სოფლებშიაც უგრძვნიათ.

* * *

ფოთელებისათვის სასიამოვნო ამბავი:

გაზ. „ნოვოსტში“ დაბეჭდილია, რომ უმაღლესს მთავრობას ჰქონია ამ მოკლე ხანში სჯა იმის შესახებ, თუ რომელ ნავთ-სადგურს: ბათუმისას თუ ფოთისას, მიეცეს უპირატესობაო და გარდაუწყვეტიათ შემდეგი: თუმცა ფოთის პორტს დიდ დაბრკოლებას აძლევს დასავლეთის ქარი და ამ მხრით ბათუმი უკეთესს მდგომარეობაშია, მაგრამ რადგან ფოთიდამ პირ-და-პირი რკინის გზა არის ტფილისზე გაყვანილი, რომელსაც რუსეთისა და სამზღვარ გარეთის საქონლის ტრანზიტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, და რადგან ამას გარდა ფოთის ნავთ-სადგურის გასაკეთებლად მთავრობას უკვე მილიონები დაუხარჯავს, ამის გამო უპირატესობა ფოთის ნავთ-სადგურს უნდა მიეცესო და ამ გაზაფხულიდამ ისევ უნდა დაიწყოს მუშაობა ფოთის პორტის გასათავებლადაო.

კომისიის აზრით, ფოთის პორტის გასათავებლად სულ 2,365,000 მან. იქნება საჭირო და ოთხი წელიწადი ვადა. ამ ფულიდამ წელს 910,000 მ. უნდა დაიხარჯოს, რომლის თაობაზედაც სახელმწიფო რჩევაში უკვე შეტანილია წინადადებაო.

## ნეკროლოგი

საქართველოს ეკკლესიას, ამ მცირე ხანში, მოაკლდა ერთი პატივცემული სამღვდელო პირი, ახალ-ციხის სობოროს დეკანოზი და ბლაღოჩინი ახლ-ციხის მაზრის სამღვდელოებისა გიორგი დავითის-ძე ზამრეკელი, იმდენად დამსახურებული იყო იგი წინაშე ჩვენის ეკკლესიისა და საზოგადოებისა, იმდენად ალჭურვილი კე-

---

— მაშ მე ადამიანი აღარა ვყოფილვარ, ამ სახლში ხმა აღარა მქონია?! თუ აგრე მასხარადაც ამიგდებ, რომ ერთი მზითვის გოგო მომყვა და იმასაც გააგდებ, მე რაღა ვყოფილვარ? იქნება ის გინდა, რომ მარტოობაში სული ამომხადო?

— მაშ რად მომიგონე, რომ ვითომ ვკოცნიდი?

— მაშ არა ჰკოცნიდი? ცოტა დამშვიდებით იკითხა ცოლმა.

— არა.

— მაშ რასა შვრებოდი? რისთვისა გქონდა ხელი მოხვეული?

— რისთვისა! დაფიქრდა ქმარი და მერე ღიმილით დაიწყო:—პერანგზედ ღილი ამწყდა და იმას მიკერებდა.

— ჰა! იქნება მართლა?

— შენმა გაზრდამ! მაშ რა გეგონა?

ცოლს გაუბრწყინდა სახე, გამხიარულდა.

— მეც არ გამიკვირდა გოგოსთან როგორ იკადრა-მეთქი.

— შენი არ მიკვირს!.. შენ თავი დაგანებო და სხვებს გამოვუდგე!..

ცოლი დატკბა, დადნა და კანებიერდა; გაიჭყლარტა სავარძელში და განაზებულის მღელვარებით წარმოსთქვა:

— ივანე მოდი ერთი მაკოცე... მე მინდა შენი კოცნა...

ქმარი ზოზინებდა, მაგრამ ცოლი არ ეხსნებოდა და ამისთვის მიუახლოვდა, დაიხარა საჩქაროდ და საჩქაროდვე აკოცა.

— არა, აგრე არ მინდა, განაზდა ქალბატონი—ძალზედ, დიდ-ხანს, კარგად. წარმოსთქვა ცოლმა.

ქმარი სიზიზღემ აათრთოლა, მთლად იმის გონება შეპყრობილი იყო ვარდისახარზედ ფიქრით, რომელიც ვარდის კოკორსავით გადაშლილიყო და მომაკვდავი ცოლი-კი გადაჰკიდებოდა, რომ ეკოცნა და ამასთან „გამუდმებით“, დიდ-ხანს ალერსით.

ქმარმა კიდევ საჩქაროდ აკოცა და მაშინვე ტუჩები მოიწმინდა. ცოლი ჭლერქი იყო და სიჭლერქე-კი გადამდებია: ქმარს უნდა ეზრუნვა თავის თავზედ.

— ტუჩები რად მოიწმინდე, ჰკითხა ცოლმა?

— ვინა მე?.. არ მომიწმენდია! საჩქაროდ იცრუა ქმარმა, რომელსაც შეეშინდა, რომ კოცნის გამეორება არ მოეთხოვა ქალბატონს.

— როგორ არ მოგიწმენდია, რომ მოიწმინდე.

— არა-მეთქი, დამიჯერე.

— მოიწმინდე, მოიწმინდე! ისევ აღელდა ცოლი და დაიწყო ტირილი და ოხვრა.—ვარდისახარმა მოგწამლა, მოგაჯადოვა?.. რა შემოგვიყვარდა ეგ ღვთის პირისაგან შეჩვენებული?.. ღმერთო, ღმერთო!

— ქალო რეებს ანბობ, როგორ არა გრცხვენიან?

— რისა უნდა მრცხვენოდეს, როდესაც მართალია?

ქმარმა შეხედა და მივიდა ახლოს.

— რას შვრები ელისაბედ, რა მოგსვლია?..

— ზამეცალე, მომშორდი, ნუ მეკარები! შესწივლა იმან და დაიწყო მოთქმა:—ვაი ჩემს ბედს, მე ჩაქოლვილი!.. რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე.—რას მემართლებოდი, რად დამღუპე, თუ-კი არ გიყვარდი?.. ხომ არ გიყვარვარ?.. არ გიყვარვარ განა?.. ვანო არ გესმის, გიყვარვარ მეთქი თუ არა? ერთბაშად შეუტია ცოლმა.

ქმარს, რომელიც მწუხარებით და გაშტერებით უყურებდა აქამდის, მოთმინება გაუწყდა და მხრების აწევით წარმოიძახა.

— ღმერთი გამიწყრეს, თუ შენ მტკნარი გიჟი არ იყო? ივანემ ამ სიტყვებით გაიბრახუნა კარები და გავიდა.

— ივანე, ვანო, ვანო!.. დაბრუნდი. აქ მოდი! ზაეკიდა ცოლი მაგრამ გვიანღა იყო, ქმარს გასვლის უმალ შეკაზმული ცხენი დახვდა კარებზედ, მოაჯდა და გაჰქუსლა სასეირნოდ, სადაც ყველაფერი გადაავიწყდა და ჰომით და ულვაშების გრეხით სინჯავდა სხვა-და-სხვა ქალებს.

ცოლი შებრუნდა დაიფარა თვალებზედ ხელსახოცი და დაიწყო ტირილი.

ის ტიროდა კარგა ხანს, გადმოზდიოდა ცრემლები, მაგრამ გული არ უმშვიდდებოდა. ის ჯერ არ დასუსტებულიყო და ავად-მყოფობის გამო სიბრაზე თან-და-თან ემატებოდა.

ელისაბედ ერთბაშად გათრთოლდა, წამოვარდა და გაქანდა მეორე ოთახში და შევიდა ვარდისახარისთან,

თილის ზნეობით, იმდენათ ზედ-გავლენიანი სამწყსოსაზედა თვისსა, რომ ცოდვადა ვსთვლი მისს საქვეყნოდ მოუხსენებლობას. არა ვიჭვნეულობ, რომ მრთელის საქართველოს სამღვდელოებისათვის და მის პატივმცემელთათვის ხმა ამ პატივცემულის მხცოვანის სამღვდელო პირის გარდაცვალებაზედ არ იქნეს სამწუხარო.

გარდა სამღვდელოების თანამდებობისა, განსვენებული მრთელი ოც-და-ათი წელიწადი ილვწოდა განათლების ასპარეზზედაც ტფილისის სასწავლებელში მასწავლებლად (26-ს აგვისტოდგან 1831-წლისა, ვიდრე 11-ს სეკტემბრამდე 1833 წ.), გორის სასწავლებელში მასწავლებლად და ინსპექტორად (1833-დინ 1-ლ ივნისამდე 1837 წლისა), ქუთაისის გიმნაზიაში ჯულის მასწავლებლად (3-ს დეკემბრიდან 1849 წლისა 15-ს აპრილამდე 1865 წლისა). ამავე დროს იგი იყო საკათედრო სობოროს დეკანოზად და დროებით ასრულებდა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობას.

განსვენებულის სამსახურის უმთავრესს ადგილებს შეადგენდენ ჯერ ახალ-ციხე, შემდეგ ქუთაისი და უკანასკნელ ისევ ახალ-ციხე; ერთს ალაგსაც და მეორესაც სამსახური მისი იყო კეთილი, ნაყოფიერი. მისმა სათნოებიანმა და სანატრელმა თვისებებმან მოუპოვეს მას სამრევლოთაგან სიყვარული და პატივის ცემა; ყველას მიაჩნდა იგი მამად და მზრუნველად და ყველასთვისაც იგი იყო ღირსეული სულიერი მამა და გულ შემატკივარი. ეჭვი არ არის, რომ ბევრს მისს აღზრდილს, ერის კაცს თუ სამღვდელო პირს, სიამოვნებით მოაგონდება ის დრო, როდესაც განსვენებული ხელ მძღვანელობდა მათ მეცნიერების შეძენის დროს. ეჭვი არ არის, რომ ლოცვა-კურთხევით მოიხსენებენ მას იგინი კეთილ-მშობლიურ მზრუნველსათვის; ეჭვი არ არის, რომ ვისაც იმასთან დაახლოვებული კავშირი ჰქონია, მოაგონდება მისი ტკბილი საუბარი, სავსე გონიერებით, პატიოსნებით, გრძნობით და სიყვარულით.

ამისთვისაც არც ზეციურმა მამამ დაუტევა იგი უნუგეშოდ: ჯერ ერთი, რომ მისცა მას დღეგრძელობა — გარდაიცვალა იგი სამოც-და-თუთხმეტის წლისა, მეორეც ისა, რომ მისცა მას შეძლება კეთილად და ღირსეულად შვილების აღზრდისა თუ სასულიერო, თუ სამოქალაქო მოღვაწეობისათვის, სასარგებლოდ ეკლესიისა და საზოგადოებისა.

იქამდი შემკული იყო განსვენებული კეთილ-ზნეობით, რომ არა თუ მორწმუნეთა, არამედ ურწმუნოთაცა — მაჰმადიანთაც, ახალ-ციხის მაზრის ბეგთა თუ მათ მოყმეთა, მიაჩნდათ იგი პატივსაცემელ პირად და არა ნაკლებ თავიანთის სარწმუნოების წარმომადგენელთა უყვარდათ...

ორმოც-და-ათი წლის სამღვდელო ხარისხში უბიწოდ გატარებისათვის განსვენებული დაჯილდოებულ იქმნა თვისდამი რწმუნებულის საბლაღოჩინო სამღვდელოებისაგან ოქროს გულის ჯვარით, შემკულით ალმასის თვლებით. არც მთავრობისაგან დაშთა იგი დაუჯილდოებული, ამდენი ხნის უბიწო სამსახურისათვის.

განვლო ამ ერთმა ღირსეულმა მამამაც მღელვარე ზღვა ქვეყნიურის ცხოვრებისა და შევიდა ზეციურსა სამშობლოსა-შა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი?

არხიმანდრიტი გრიგორი.

22-ს თებერვალს.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხუმიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ $10^1/_2$-მდინ ნავასარტიანცი — ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი — ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^1/_2$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ — შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი — ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსისიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა — არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის — 50 კაპ., კონსულტაციისა — 3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.


---

რომელიც მიგდებულიყო თავის ლოგინზე და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა.

იმას გამოევლო მწუხარებით სავსე პატანჯველი, გულის ტრიალი; ის იყო დამცირებული, დამდაბლებული, მკვდარსავით. იმას უყვარდა კაცი, რომელსაც არამც თუ ეცილებოდენ, არამედ ძალად ართმევდენ.

რათა? რა ნებით!.. ივანეც ხომ ჰკოცნიდა გატაცებით, მაშასადამე იმასაც უყვარდა, სხვები რაღად ეჩხირებოდენ შუაში? გოგო ჰფიქრობდა და თითონვე პასუხს აძლევდა თავის თავს: „ცოლია, ჯვარ დაწერილი... ბატონი იმას ეკუთვნის“. მაგრამ სწრაფად ამ აზრს შესცვლიდა მეორე: „იმას ეკუთნოდეს და მე მიყვარდეს, ვის რას დაუშლის“?

მაგრამ რა მოელოდა უბრალო მოახლეს, რომელიც ასე მკაცრად დასტუქსეს, დასჩაგრეს ამ რამდენიმე წუთის წინად?

ვარდისახარს საქმე არა ჰქონდა იმასთან, ვინ იყო კანონიერი ცოლი, ვის რა უფლება ჰქონდა? ის იყო დამონებული მხოლოდ ერთის გრძნობით, უყვარდა ივანე, ის ეხატებოდა თვალ-წინ, ყოველგან, იმისი სახელი შთაბეჭდილიყო ყოველი ძარღვის ხვეულში, ყოველი სისხლის წვეთში და სხვა აღარა ახსოვდარა.

ქალბატონმა შესვლის უმალ გოგოს წაჰკრა ხელი, წამოაყენა ფეხზედ და ეჭვისაგან ანთებულის თვალებით დაუწყო ყურება.

— რათა გკოცნიდა შენა ბატონი? ჰკითხა იმან, მაგრამ რადგანაც პასუხი ვერ მიიღო დაუწყო ძალზედ ნძრევა და ყვირილით კითხვის გამეორება.

ვარდისახარ აინთო, თავში მოუვიდა აზრი რომ წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ისევ შეიმაგრა თავი.

— არ გესმის შე..... მიპასუხე: რათა გკოცნიდა შენა ბატონი?

გოგოს მოთმინება გაუწყდა, წყნარად გაეშვებინა ქალბატონს და თითქმის ხვეწნით უთხრა:

— თავი დამანებეთ, ქალბატონო, რა გინდათ ჩემგან?

— რა მინდა?.. მითხარ რათა გკოცნიდა?

გოგო აინთო და შუბლი შეჭმუხნა.

— თუ მკოცნიდა, ალბად მოვწონდი. ერთბაშად წამოიძახა იმან.

— შენ, შენ მოსწონდი? გაიხარხარა ელისაბედმა და კინაღამ დაიღრჩო მღელვარებისაგან.

ქალბატონმა შეხედა გოგოს და მწუხარებით დაინახა, რომ ის მართლა ლამაზი, ყმაწვილი და ლაზათიანი იყო. ელისაბედმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ექნა. ამ დროს შეამცნივა სტოლზედ მაკრატელი.

— ა-ა! მაშ მოსწონხარ, მოსწონხარ! ის მივარდა მაკრატელს, მეორე ხელით სწვდა ნაწნავებში და სანამ ვარდისახარ მიხვდებოდა ელისაბედის სურვილს მსწრაფლად შეაჭრა ორი ნაწნავი.

— ეხლაც გადმოიყარე თმები, ეხლაც გაუარშიყდი ჩემს ქმარს... შე უსვინიდისო, უმადურო შენა!..

ვარდისახარმა შესწივლა საშინლად და იქვე დაეცა.

იმ დროში თმის გაკრეჭას ან ავადმყოფობა აკისრებდა ქალს, ან პატრონებისგან ძალ-დატანება, რომ ამითი ხალხისთვის ეჩვენებინათ უბედურის როსკიპობა.

ქალბატონსაც ღონემ უღალატა; კარგა მღელვარების და სიბრაზის შემდეგ ის დასუსტდა და ცახცახით გასწია თავის ოთახში, სადაც ძლივს მიაწია ქვეშსაგებს, რომელშიაც ჩაწოლა ძლივს მოასწრო და ცემის მზგავსი ცახცახი დაიწყო. ვარდისახარ-კი კარგა ხნის გდების შემდევ, წამოდგა დასუსტებული, დაღალული, მიიხედ-მოიხედა და მოაგონდა თავისი მდგომარეობა.

— სადღა გავიდე, სადღა წავიდე! წარმოსთქვა იმან და მწუხარებით მისწვდა თავის ნახევრად გაკრეჭილ თმას. — ვიღას შევხედო პირზედ?

ამის შემდეგ ყველგან დაცინვა, ყველგან მასხარად აგდება მოელოდა და რაღა სიცოცხლე უნდა ყოფილიყო იმისათვის?

— წავალ, საცა იქნება გადავიკარგები! გაუელვა თავში, საჩქაროდ წამოიგდო შალი და გავარდა გარეთ.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

# განცხადებანი

—

მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინების გამო, ამა თებერვლის 25 დღესა იქმნება გახსნილი **განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის ტფილისის გუბერნიის შეკრებილება.**

ამისათვის ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლმეტი აცნობებს თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას და უმორჩილესად სთხოვს, რათა მობრძანდენ შეკრებილებაში, რომელიც იქმნება გახსნილი იმ სახლებში, სადაც თითონა სდგას ამა თებერვლის 25 დღესა, 10 საათზედ დილით. (3—3)

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

**წითელი ფარანი**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. გ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

**ხატაური**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—9)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

მაუდართ წვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსაცმის ნაის—1 მ. 40

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—36)

---

**ინგლისურ-ბულგარიული გუთნები**

მიღებული ინგლისიდამ და ისყიდება თ. ა. პეპინოვის კანტორაში არწრუნის გალერეიაში. (5—2)

---

ა ხ ა ლ ი

# წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეის № 149, 150 ბ. ჭყონდარის ბიბლიოთეკასთან

**ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.**

**სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.**

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—5)

---

საუდე-გალანტიური

# სახელოსნო

ილ. ჭყონიასი, ქუთაისს, თ. ლ. მაჭუტაძის სახლში, მოწყობილი უახლესის სისტემის მაშინებით ჰკისრულობს შესაკეთთა აღსრულებას 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვები. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთთ შეკეთილთ თუ 25 მან. აღემატება, სახელოსნო ასრულებისათანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ თავის ხარჯით.

იმავ შენობაში იმყოფება

# ბიბლიოთეკა

თ. ა. ლორთქიფანიძისა, ილ. ჭყონიასაგან იჯარით აღებული. ხელ-მოსაწერი პირობები ფრიად ხელ-მისაცემია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები. (20—3)

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით **(съ удареніями)** და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ჩრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ჭუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ჩრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუყოვნებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ჩრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ჭუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

---

**დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად**

**„ციკო“**

მოთხრობა

**ა. მოხხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—7)

---

**ინგლისური რკინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, გლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—26)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

**ტაქსია**

**საკვებაზ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დასტარებით 15 თებერვლიდამ 1 მარტამდის.**

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |